ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2/21
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 25 ოქტომბერი 2016 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის №215 საჯარო სკოლა, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე კეჩხოშვილის სახით და **შპს „აუდიტი და კონტროლი",** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი დირექტორის გია ტუხაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებულნი როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში ხელშეკრულება)- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც დადასტურებულია ხელმოწერებით და დამოწმებულია ბეჭდებით მხარეთა მიერ.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „თვე", „წელი" - კალენდარული დღე, თვე, წელი.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

შემსყიდველი ავალებს, ხოლო მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება (SPV 79400000). კერძოდ, შემსრულებელმა უნდა დაადგინოს შემსყიდველის სარგებლობაში არსებული 126,71 კვ. მ, 53,08 კვ. მ. და 52,35 კვ.მ. ფართების 1 სთ-ს საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება, კომუნალური გადასახადების ჩათვლით „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბერის №328 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის" მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. მიმწოდებელის მიერ გაწეული აუდიტორული მომსახურების ღირებულება შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარს (დღგ-ის ჩათვლით).

3.2. ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერებით დადასტურებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების ადგილი, წესი და ვადა

4.1. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, ვარკეთილის დასახლება, რუსთაველის I შესახვევი, სსიპ - ქალაქ თბილისის №215 საჯარო სკოლა;

4.2. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს დასკვნას ფართის 126,71 კვ. მ, 53,08 კვ. მ. და 52,35 კვ.მ. ფართების წლიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულებების შესახებ.

4.3. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 დღე, ვადამდე დასრულების უფლებით.

4.4. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით დადასტურების შემდგომ.

მუხლი 5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1.შემსყიდველი ვალდებულია:

5.1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები მიმწოდებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

5.1.2. დროულად და სრულად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების საფასური.

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.2.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

5.2.2. გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.3.1. გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი მომსახურება;

5.3.2. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

6.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

6.4. მიმწოდებელის მიერ შემსყიდველისთვის გაწეული კონსულტაციები წარმოადგენენ მიმწოდებელის ინტელექტუალურ საკუთრებას. შემსყიდველს არა აქვს უფლება გამოიყენოს

ისინი სხვა პირების სასარგებლოდ.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.4. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

8.5. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები და მოქმედების ვადა

ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სკოლის დირექტორი: ბატონი ალექსანდრე კეჩხოშვილი.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

12.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

12.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

12.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

12.5 კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

12.6. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 13. ხელშეკრულების მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - ქალაქ თბილისის №215 საჯარო სკოლა ს/ნ: 226563368 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვარკეთილის დასახლება, რუსთაველის I შესახვევი საბანკო რეკვიზიტები: ბანკი - სს „ლიბერთი ბანკი“ ა/ა GE48LB0115110221411000 **დირექტორი:** **ალექსანდრე კეჩხოშვილი**	შპს ,,აუდიტი და კონტროლი“ ს/ნ 401952856 იურიდიული მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი. მე-4 კვარ. I^ა კორპუსი. საბანკო რეკვიზიტები ბანკი - სს „საქართველოს ბანკი“ ა/ა GE57BG0000000892577100 **დირექტორი:** **გია ტუხაშვილი**

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 28 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს „აუდიტი და კონტროლი“ (მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გია ტუხაშვილის სახით და მეორეს მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის №215 საჯარო სკოლა (შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე კეჩხოშვილის სახით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს გაუწია, ხოლო შემსყიდველმა მიიღო 2016 წლის 25 ოქტომბერს დადებული №2/21 ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურება, კერძოდ, წარმოადგინა დასკვნა №2//21/1 - სსიპ „ქალაქ თბილისის №215 საჯარო სკოლის“ №1 შენობაში (საკადასტრო კოდი 81.08.28.111) არსებული126,71 კვ. მ, 53,08 კვ. მ. და 52,35 კვ.მ. ფართების საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულებების შესახებ, რომლის ღირებულებაც შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარს.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
დირექტორი: ალექსანდრე კეჩხოშვილი	დირექტორი: გია ტუხაშვილი

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

დადასტურებული 28/10/2016 16:26

1	ეა-13 3516768

3	ოქტომბერი	2016

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	28	ოქტომბერი	2016

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

5.1	4	0	1	9	5	2	8	5	6		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს აუდიტი და კონტროლი

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

6.1	2	2	6	5	6	3	3	6	8		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	სსიპ ქალაქ თბილისის N215 საჯარო სკოლა

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
დასკვნა №2/21/1	მომსახურება		250.0000	38.1400	0.0000
		სულ	250	38.14	0

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა_____ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა_____ბ.ა.